საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 2 15 00741807

29/07/2015

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომი შემოსული თქვენი 24/07/2015 წლის N733910 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლამ, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 25/05/2015წ. N423806 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობა-ნაგებობების ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ლაშა საღინაძე

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220